საქართველო 2018

ბავშვის ადრეული განვითარება

MICS

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა

სწავლაში ხელშეწყობა

ადრეული სტიმულირება და სათანადო მზრუნველობა



2-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთადაც დედა, მამა ან შინამეურნეობის რომელიმე ზრდასრული წევრი ბოლო სამი დღის განმავლობაში ჩართული იყვნენ აქტივობებში, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის განათლებას და სკოლისთვის მზაობას

შენიშვნა: აქტივობები მოიცავს: წიგნების კითხვა და ილუსტრირებულ წიგნების დათვალიერება, ზღაპრების მოყოლა, სიმღერების მღერა, ბავშვების გასეირნება გარეთ ან ეზოში, ბავშვებთან ერთად თამაში და ბავშვებთან ერთად საგნების სახელების დასახელება, დათვლა ან ხატვა

ადრეული ბავშვობა, რომელიც მოიცავს 8 წლამდე ასაკის პერიოდს, კრიტიკული პერიოდია ბავშვის შემეცნებითი, სოციალური, ემოციური და ფიზიკური განვითარებისათვის. ამ წლებში ბავშვის ახლად ჩამოყალიბებული ტვინი უაღრესად ელასტიური და რეაგირებადია ცვლილებებზე. ადრეულ ბავშვობაში ოპტიმალური განვითარებისათვის საჭიროა მასტიმულირებელი და მზრუნველი გარემო, წიგნებზე და სასწავლო მასალებზე ხელმისაწვდომობა, ურთიერთობა გულისხმიერ და ყურადღებიან მზრუნველებთან, ადეკვატური კვება, ხარისხიანი, ადრეული ასაკის შესაბამისი განათლება, და უსაფრთხო გარემო და დაცვა. ბავშვის გარემოს ყველა ეს ასპექტი ხელს უწყობს ბავშვების განვითარების შედეგების მიღწევას. ისეთ აქტივობებში მონაწილეობა, როგორიცაა ბავშვისათვის წიგნების წაკითხვა; ბავშვისათვის ზღაპრების მოყოლა; სიმღერების მღერა, ბავშვების სახლის გარეთ გაყვანა, ბავშვებთან ერთად თამაში და ბავშვებთან ერთად საგნების დასახელება, დათვლა ან ხატვა, ბავშვის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია.

ბავშვები მთელი რიგი რისკების წინაშე დგანან, როგორიცაა: სიღარიბე; არასახარბიელო ჯანმრთელობა; ოჯახში და ბავშვის გარემოში მაღალი დონის სტრესი და დაუცველობა ძალადობისაგან, შეურაცხყოფა, უყურადღებობა და ექსპლუატაცია; ასევე არასათანადო მოვლა და სწავლის შესაძლებლობები, უთანასწორობა, რის გამოც მათ შესაძლოა ვერ მიაღწიონ თავიანთი განვითარების პოტენციალს. ბავშვობის ადრეულ წლებში ინვესტიციის ჩადება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ხარჯეფექტური გზაა იმისათვის, რომ შემცირდეს ის სხვაობა, რომელიც ხშირად დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების ბავშვებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

საკვანძო გზავნილები

- 2-4 წლის ასაკის ბავშვების ადრეულ სტიმულირებასა და სათანადო მზრუნველობაში დედები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (60%), ხოლო მამათა მონაწილეობა გაცილებით ნაკლებია (8%).
- საბავშვო ბაღებში სწავლა დაკავშირებულია დასახლების ტიპთან, ასაკთან და კეთილდღეობასთან. იმ ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც საბავშვო ბაღში სწავლობენ, ქალაქის ტიპის დასახლებებში 16 პროცენტული პუნქტით მაღალია სოფლის ტიპის დასახლებებთან შედარებით. საბავშვო ბაღში დასწრება 10 პროცენტული პუნქტით მაღალია 4 წლის ასაკის ბავშვებში 3 წლის ასაკის ბავშვებთან შედარებით. პირდაპირი კავშირი არსებობს საბავშვო ბაღში სწავლასა და სიღარიბეს შორის, უმდიდრეს ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღში, 26 პროცენტული პუნქტით აღემატება უღარიბესი კვინტილის ანალოგიურ მაჩვენებელს.
- იმ ბავშვებიდან, რომელიც საბავშვო ბაღში სწავლობს, 94% საჯარო ბაღში დადის, ხოლო 6% - კერძო ბაღში, ბავშვების მხოლოდ <1% კი სხვა ტიპის საბავშვო ბაღში დადის.
- მედია საშუალებების გამოყენება ბავშვებში ფართოდ არის გავრცელებული. 5 წლამდე ასაკის ბავშვების 35% ელექტრონულ მოწყობილობებს დღეში 1 საათზე მეტი ხნის განმავლობაში იყენებს. მნიშვნელოვანი უთანასწორობა არის ქალაქად და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის. ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების სიმწვავე ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები 5 წლამდე ასაკის ბავშვებში შედარებით მაღალია, ვიდრე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად 40% და 27% უტოლდება..
- 5 წლამდე ასაკის ბავშვების 64% თამაშობს მაღაზიაში ნაყიდი სათამაშოებით, 94% საოჯახო ნივთებით, მათ შორის სახლის გარეთ ნაპოვნი ნივთებით, ხოლო ბავშვების შედარებით მცირე პროცენტული წილი კი - თვითნაკეთი სათამაშოებით (12%).
- ბავშვების 44%-ს არ აქვს მინიმუმ 3 საბავშვო წიგნი.
- 5 წლამდე ასაკის ბავშვების 4%, ამ კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, დატოვეს არასათანადო მეთვალყურეობის ქვეშ: მარტო, ან 10 წლის ასაკამდე სხვა ბავშვის მეთვალყურეობის ქვეშ ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში. მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება რეგიონებს შორის, გურიაში ეს მაჩვენებელი 2%-ს, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში 8%-ს შეადგენს.

სწავლის ხელშეწყობა

საბავშვო ბაღში დასწრება



36-59 თვის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღში, ძირითადი მახასიათებლების მიხედვით

საბავშვო ბაღის მმართველობა



36-59 თვის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება, რომლებიც დადიან საბავშვო ბაღში, საბავშვო ბაღის მმართველობის მიხედვით

მედიის გამოყენება ბავშვებში

ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონული მოწყობილობებით დღეში 1 საათზე მეტი დროის განმავლობაში



0-59 თვის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონული მოწყობილობებით დღეში 1 საათზე მეტი დროის განმავლობაში, დასახლების ტიპისა და რეგიონის მიხედვით

ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონული მოწყობილობებით დღეში 1 საათზე მეტი დროის განმავლობაში, ასაკის მიხედვით



ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც გასული კვირის განმავლობაში სარგებლობდნენ ელექტრონული მოწყობილობებით დღეში 1 საათზე მეტი დროის განმავლობაში

თანამედროვე დროში ბავშვები ციფრულ მედიასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რასაც თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგი აქვს მათ ჯანსაღ განვითარებაზე. პრობლემები იწყება მაშინ, როდესაც ციფრული მედია საშუალებების გამოყენება ანაცვლებს ფიზიკურ აქტივობას, უშუალო გამოცდილების მიღებას და რეალურ სამყაროსთან პირისპირ ურთიერთობას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლისათვის. ეკრანთან ზედმეტად მეტი დროის გატარება ასევე ამცირებს მათი ძილის ხანგრძლივობას და აუარესებს ძილის ხარისხს.

- 18 თვემდე ასაკის ბავშვებისათვის, თავიდან აიცილეთ ეკრანული მედიის გამოყენება, ვიდეო-საუბრის გამოკლებით;
- 18-24 თვის ასაკის ბავშვების მშობლებისათვის, რომელთაც სურთ ციფრული მედია გააცნონ თავიანთ შვილებს, უნდა შეარჩიონ მაღალი ხარისხის პროგრამები და შვილებთან ერთად უყურონ მათ, რათა ბავშვებს დაეხმარონ ნანახის აღქმაში;
- 2-დან 5 წლის ასაკამდე ბავშვების შემთხვევაში ეკრანის გამოყენება და მაღალი ხარისხის პროგრამების ყურება შეუზღუდონ 1 საათამდე ყოველ დღე. მშობლებმა შვილებთან უნდა უყურონ პროგრამებს, რათა დაეხმარონ მათ ნანახის აღქმაში და გარშემო რეალურ გარემოში მათ გამოყენებაში.[1]

[1]AAP. Guram, S., & Heinz, P. (2017). Media use in children: American Academy of Pediatrics recommendations 2016. Archives of Disease in Childhood - Education & Practice Edition, 103(2), 99–101. doi:10.1136/archdischild-2017-312969 https://ep.bmj.com/content/103/2/99

სასწავლო მასალები და ბავშვის მეთვალყურეობა

სათამაშოებსა და სასწავლო მასალებზე წვდომა



5 წლამდე ასაკი ბავშვების პროცენტული წილი, რომელთაც აქვთ სათამაშოებზე და სასწავლო მასალებზე წვდომა

არასათანადო მეთვალყურეობა

რეგიონი	არაადეკვატური მეთვალყურეობა
საქართველო	**4**
თბილისი	4
აჭარის ა.რ.	3
გურია	2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3
კახეთი	5
მცხეთა-მთიანეთი	3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8
სამცხე-ჯავახეთი	3
ქვემო ქართლი	3
შიდა ქართლი	3

5 წლამდე ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც გასული კვირის განმავლობაში ერთხელ მაინც დატოვებული იყო მარტო ან 10 წლამდე სხვა ბავშვის მეთვალყურეობის ქვეშ მინიმუმ ერთი საათის მანძილზე, რეგიონების მიხედვით

ადრეული განვითარების ინდექსი

ადრეული განვითარების ინდექსი : საერთო მაჩვენებელი და სხვადასხვა ასპექტები, SDG 4.2.1



ადრეული განვითარების ინდექსი: 3-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომელთა განვითარება სათანადოდ მიმდინარეობს წერა-კითხვის და დათვლის, ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და სწავლის ასპექტებში. ადრეული განვითარების ინდექსი გაიანგარიშება, როგორც ბავშვების წილი, რომელთა განვითარება სათანადოდ მიმდინარეობს ოთხიდან მინიმუმ სამ ასპექტში

ბავშვის ადრეული განვითარება: ძირითადი მაჩვენებლები

ადრეული განვითარების ინდექსი სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, მიქსი საქართველო 2018, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გლობალური მიქსის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და UNICEF-ის, NCDC-ის, USAID-ის, WB-ის, UNFPA-ს, SIDA-ს, AFD-ის, SCD-ის, ISS, UNDP-ის და WHO-ს ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე მოკლე აღწერილობის ამოცანაა მიქსი საქართველოს 2018 წლის კვლევით დადგენილი ცალკეული ფაქტების გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა ადრეულ განვითარებასთან. ამ მოკლე აღწერილობის დეტალური მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში: TC10.1, LN1.1, TC10.2, TC10.3, TC11.1, TC12.1.CS და LN5.1CS.

დამატებითი სტატისტიკური მოკლე აღწერილობები და „კვლევის შედეგების ანგარიში“ ამ და სხვა კვლევებისათვის განთავსებულია შემდეგ ვებგვერდზე: mics.unicef.org/surveys.